

უნებლიე მკითხავი

ერთი საბრალო კაცი იყო, ერთი ანჩხლი რძალი ჰყვა. აგინებდ რძალი იგი და ეტყოდა: წადი იქურდე, იშოვნე და მომიტანეო!

ეხვეწებოდა იგი კაცი და დიაცი არ მოეშვა.

დღესა ერთსა ნამტირალევი, რძლისაგან ნაცემი, ვლიდა. ნჭხა შვიდი აქლემი, აბრეშუმით დატვირთული. უპტრონონი იყვნეს, წასხა და ერთს ტყეში დამალა და მოვიდა მუნვე.

მის აქლემების მამებარი კაცი შემოეყარა, ჰკითხა:

- შვიდი აქლემი დავკარგე, და თუცა რამ მისი გამიგო, ერთსა რაც ეკიდოს, მოგცე

მან კაცმან ეგრე უთხრა: მე არ მინახავნ, მაგრამ ასეთი მეცნიერი ვარ, რომე ჩემისთანა მოგვი არ იქნებაო.

თურე ერთი ცუდი წიგნი ეპოვნა და უბეთა შიგან ეპყრა, გამოიღო და ჩახედა, ეგრე უთხრა: შევიგენ და სხვის გზით წარუძღვა და ეტყოდა: აჰა, კაცთა მიჰყვანანო.

ზოგჯერ რა უთხრა და ზოგჯერ რა. რა მას ადგილს მიახლოვდა, უთხრა.

- მათ კაცთა ალღო აგვიღეს და აქლემნი დაუტევეს და თვით გაიქცნენ: ჩემმან სამისნომ ეს მამცნო.

მიიყვანა, აქლემები აჩვენა და ერთი ტვირთი აბრეშუმი მისცეს. მოიტანა შინ. რძალმან დია დაუმაძლა და ეგრე უთხრა: კეთილი მაზლი ხარ, ეგრე ჰყოფდეო!

მას ჟამსა თურე მეფეს ერთი უსასყიდლო თვალი დაჰკარგოდა და იყო დიდი გამოძიება და ძებნა-კითხვა. მივიდა მასთანა იგი მეაქლემე და მოახსენა:

- ძოღან თქვენი აქლემები დავკარგე და ერთი მისანია, მან მიპოვნა.

გაგზავნეს კაცი და მსწრაფლად მოიყვანეს. დიდსა სეფესა შიგან მრავალი მისანი სხდა და ბოლოს კერძ იგი უწიგნო ახალი მისანიც დასვეს.

ერთსა მონასა ოქროს კროჭითა რაღაც დაქონდა და იტყოდა რომელიც ამას გამოიძნობს, ამასა შიგან რა ძეს, იგი პოვებს თვალსა მასო. =

შეიქმნა თქმულობა: ზოგმან თვალი თქვა, ზოგმან მარგალიტი. ზოგმან სხვა რამე. რა მას ახალს მისანთან მივიდა, მან საწყალმან არა იცოდა რა, ამოიოხრა და თქვა: ვაი, ჩემო რძალო, რა უბრალოდ მომკალიო.

მან გულის მართლით თქვა და მეფეს გაეცინა: იგავით თქვაო!

შიგ თურე მკალი იჯდა და ზმად ჩამოართვეს კაცსა მას.

გაიყვანეს და სამეფო სამოსელი შეჰმოსეს, მეფის საწოლს

დააწვინეს და მეფისავე ცხედარი დაუგეს და გარს სეფეწულნი მოუყენეს, ესრეთ დიდი პატივი დასდევს. იგი მისანი ამას სცდილობდა, თუცა სეფეწულთ დაეძინოსთ და მე გავიპარო.

თურე იგი თვალი ერთს სეფეწულთაგანსა მოეპარა და, რა სხვათ დაეძინათ, იგი მომპარავი ფერხს მოეხვია: მე მოვიპარე და ნუ გამამხელთო!

მას კაცს დია იამა და აგრე უთხრა:

მე დილასავე ვცან, მარა ჭაბუკობა შენი შემბრალდა და არა ვთქვიო. აწ წადი, მეფის საბატესა შიგან ერთსა ღერღეტსა ჩაანთი და მხარი მოსტეხე, და შენ შენდა განისვენეო!

რა გათენდა, ახალი მისანი მხიარულად ასპარეზსა შიგან დადგა. გამოვიდა მეფე და ჯარი. ჰკითხეს თვალისა. გამოიღო წიგნი, ნახა და თქვა. რაც მეფის ღერღეტნი იყვნეს, მოასხითო!

რა მოასხეს, ნახა, იგი ნიშანი არ იყო, თურე მუნვე გაეშვათ. უთხრა მათ მომყვანთა კაცთა: ერთი მხარმოტეხილი აკლიაო.

გაუკვირდათ ყოველთა და იტყოდენ მისთვის ქებასა .

მოიყვანეს იგიცა. უთხრა: გაუპეთ უპე, მაგას ჩაუნთქავსო.

გაუპეს და თვალი გამოუღეს.

იამა მეფესა და მრავალი საბოძვარი მიანიჭა და ერთი თავისი სახედარი ცხენი, ოქროთ აკაზმული, მისცა.

ეს კაცი თავის გაზრდაში ცხენს არა მჯდარიყო და იგი ცხენი ჩვეული იყო, რა მოედნის აქათ გამოვიდის, მეფე იქითვე თურე გაარბევდის. რა შეჯდა და გამოვიდა ამ თავსა, გაბრუნდა ცხენი იგი და გაჭენდა. მან კაცმან თავი ვეღარ დაუჭირა. შეშინდა და შექმნა ძახილი: მიშველეთ, მიშველეთო!

რა საჯინიბოსთან მივიდა, საჯინიბო დაიქცა და მეფის ცხენები სრულიად დახოცა, და ეს ცხენიც დადგა.

მერე მან ახალმან მისანმან თქვა: მოედანს იქით რა გაველ, ეს საქმე ვცან და ვიძახდი მიშველებასა და არავინ მიეშველენითო.

იგი ცხენი მეფესავე მიართვა და მეფემან სხვა ურიცხვი საქონელი უბოძა.

რა შინ მივიდა, აიყარა და გარდაიხვეწა. იცოდა ბოლოს მისი სიმტყუენე სააჯმნოდ შეიქმნებოდა და მით მორჩა.

- აწე, ძეო მეფისაო, შენი ლეონ აწვე გაიპაროს, იგი უჯობს, თვარა მაგის სიცრუვესა სცნობთ და არ უჯობს.

თქვა ჯუმბერ არაკი: